პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ხუთშაბათი, 23 ივლისი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მხედარი

№ 164 (862) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ამის შემდეგ რაღა ეთქმით!

გერმანიის მუშათა დელეგაციამ უკვე მოინახულა საბჭოთა კავშირის ორი მსხვილი ცენტრი—ლენინგრადი და შემდეგ მოსკოვი. ის ახლოს გაეცნო საბჭოთა ქარხნების მუშაობას, საბჭოთა მუშების შრომის პირობებს, ყოფა-ცხოვრებას და სხვა. როგორია მისი შთაბეჭდილებები? მართლადაც სწორი ცნობებს აწვდიდა მას ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია?

ამ კითხვების საუკეთესო პასუხია ის მოწოდება, რომლითაც მიმართა გერმანიის მუშათა დელეგაციამ ლენინგრადის პროლეტარიატს.

**„უკვე რამოდენიმე დღის განმავლობაში ლენინგრადში ყოფნის დროს“, ნათქვამია მოწოდებაში, „ჩვენ დავრწმუნდით, რომ ყველა ცნობები საბჭოთა კავშირისა და კერძოდ, ლენინგრადის შესახებ ტყუილია და ცილისწამებაა“.**

შემდეგ:

**„ყველაფერი რაც თქვენ შექმენით ესოდენ მოკლე ხანში უნდა იწვევდეს თითეულ პატიოსან მუშაში ღრმა პატივისცემის გრძნობას“.**

ჯერჯერობით დავკმაყოფილდებით ამ ორი ამონაწერით, რომლებიც სასტიკ ლახვარს სცემენ ბურჟუაზიას და მენშევიკებს. რაღა ეთქმით ამის შემდეგ მათ. განა ამ სიტყვების შემდეგ მათ რომელიმე მუშა დაუჯერებს.

გერმანელი სტუმრები იმეორებენ იმას, რაც ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, შვეციის მუშებმა სთქვეს.

ყველა ისინი ერთს ლაპარაკობენ:

საბჭოთა კავშირი ნამდვილი მუშურ-გლეხური სახელმწიფოა, რომ ყველა ის ცნობები, რომლებსაც უხვად ავრცელებდა ბურჟუაზია საზღვარგარეთ საბჭოთა ხელისუფლების შესახებ საძაგელი სიცრუე და ცილისწამებაა.

ამას სიამოვნებით აცხადებენ დელეგაციის სოციალ-დემოკრატიული წევრებიც.

ამ უკანასკნელებმა საქვეყნოთ აღიარეს, რომ მათი ლიდერები ტყუილს ავრცელებენ მუშურ-გლეხურ ქვეყნის შესახებ.

არ გვგონია, რომ ამის შემდეგ რომელიმე გერმანელ მუშას ეჭვი შეეპაროს თავისი დელეგაციის სიტყვების სიმართლეში. მაგრამ გერმანიის მუშათა დელეგაციის წევრები არ კმაყოფილდებიან მარტო სინამდვილის აღიარებით. ისინი თავის თავს მოვალედ სთვლიან ყოველმხრივ შეებრძოლონ იმპერიალისტური სახელმწიფოების გალაშქრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„ჩვენ გერმანიის მუშათა დელეგაცია ფიცს ვსდებთ მუდამ მზად ვიყოთ, რომ ღირსეული პასუხი გავსცეთ იმპერიალისტებს თუ ისინი გაილაშქრებენ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ“.

ჩვენ ღრმად გვწამს ამ დიდი ფიცის გულწრფელობა.

გერმანელ მუშების ეს სიტყვები საუკეთესოდ ამტკიცებს იმას, რომ საერთაშორისო სოლიდარობა მტკიცდება გამჯდარი ყველა ქვეყნის მუშებში და ამ სოლიდარობას ვერავითარი ბურჟუაზიული თუ მენშევიკური ტყუილი ვერ დაარღვევს.

და რამდენად უფრო სწრაფად გაიფანტება ტყუილის და ცილისწამების ნისლი დასავლეთში, იმდენად უფრო განმტკიცდება და გაძლიერდება ეს სოლიდარობა.

მუშური დელეგაციები კი ყოველივე ღონისძიებას იხმარენ რომ საბჭოთა კავშირის სიმართლის სხივებმა რაც შეიძლება ადრე და ჩქარა გაფანტონ ბურჟუაზიის და მენშევიკების სიცრუის ნისლი.

ეს კი უფრო გააძლიერებს საბჭოთა ქვეყანას და ამავე დროს კაპიტალისტურ ქვეყნების მუშები განამტკიცებს საბოლოო გამარჯვების რწმენას.

## ბელგიელი დელეგატები საბჭოთა კავშირის შესახებ.

ბელგიელ დელეგატებმა, რომლებიც ამ დღეებში დაბრუნდენ საბჭოთა კავშირიდან, გაზეთების წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირიდან მათ საუცხოვო შთაბეჭდილება გამოჰყვა. საბჭოთა კავშირის მუშათა ცხოვრება ყოველ მხრივ უმჯობესდება. განსაკუთრებული ქებით იხსენიებენ დელეგატები დასასვენებელ სახლებს.

# ახალი რადიო-ამბები

## მოულოდნელი შედეგები.

### რუსეთის ემიგრაცია ჰყრის უკანასკნელ ფარხმალს.

უნგრეთის ნაციონალურ უმცირესობის ორგანო სემიგრადიეში „ელენზეკ“ აქვეყნებს თავ ს პარიზელ კორესპონდენტის ცნობებს პარიზში მომხდარ რუსეთის თეთრ ემიგრაციის კონფერენციის შესახებ.

კორესპონდენტის ცნობით ემიგრაციის დათვალიერებამ მისცა მოულოდნელი შედეგები. თათბირის დროს გამოირკვა, რომ ის პირები, რომლებიც შეურიგებელ აგიტაციას ეწეოდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მზად არიან ლიკვიდაცია უყონ თავის პოზიციას იმ პირობით, თუ მათ მისცემენ გარანტიას. ბევრი მათგანი მზად არის დაბრუნდეს სამშობლოში. ყოფილი მეფის არმიის გენერალ სმოლსკიმ განაცხადა, რომ ოფიცრობა მზად არის შეურიგდეს რუსეთში არსებულ წესწყობილებას.

„ასეთი გარდატეხა ჩვენს ფსიხოლოგიაში აიხსნება იმით—განაცხადა გენერალმა—რომ ჩვენ ყველას გვიყვარს სამშობლო. ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა არა სამშობლოს წინააღმდეგ, არამედ სახელმწიფოს სისტემის წინააღმდეგ, რომელიც დამღუპველად მიგვაჩნდა. როდესაც ვნახეთ, რომ საბჭოთა რეჟიმი იცავს საერთოდ რუსეთის ხალხის ინტერესებს, ამის შემდეგ ბრძოლამ მათ წინააღმდეგ დაკარგა ყოველივე საფუძველი“.

## საუბარი გერმანიის დელეგაციის წევრებთან.

**ჩვენ უნდა მივბაძოდ საბჭოთა კავშირის მუშებს.**

გერმანიის დელეგაციის წევრმა შტრაუდტმა მოსკოვის ფაბრიკა—ქარხნებისა და დაწესებულებების დათვალიერების შემდეგ, როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„გერმანიის მუშა ძნელად თუ წარმოიდგენს იმას, რაც ჩვენ ვნახეთ. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი მართლაც, რომ პატრონია დედამიწის ერთი მეექვსედისა. დაბრუნებისას ჩვენ ერთი და იმავე მუშური ენით ვილაპარაკებთ იმ დიად და შემოქმედებითი მუშაობის შესახებ, რომლის მოწამენი ვართ ჩვენ.

ჩვენმა რუსეთის მოძმეებმა დაიწყეს დიდი საქმე. ჩვენი ამოცანაა—მივბაძოდ მათ“.

მელემ (მუშა სოციალ-დემოკრატი) განაცხადა: „დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე პუშკინოში საბავშო სახლის დათვალიერებამ. გერმანიის მუშათა ბავშვებს არამც თუ ასეთი სახლი, არამედ მცირე აღზრდაც კი არა აქვთ. ამის შესახებ ჩვენ არავინ არაფერს გვეუბნებოდა გერმანიაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გერმანიის მუშებმა ბევრი რამ უნდა ისწავლონ თქვენგან. ჩვენ ვიტყვით სიმართლეს ყველგან საბჭოთა კავშირის შესახებ.“

## შვეციის დელეგაცია მოსკოვში.

21 ივლისს მოსკოვში ჩამოვიდა 300 კაცისაგან შემდგარი შვეციის მუშათა დელეგაცია.

დელეგაციას სადგურზე შეეგებენ პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლები, მოსკოვის პროფკავშირების დელეგატები, ფიზკულტურის წრეები და სხვა ორგანიზაციები.

აქვე გაიმართა მიტინგი. გამოვიდა პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელი ფიგატნერი და პროფკავშირებში დარაზმული 1.600.000 მუშა ქალების სახელით ქალი ჩერნიშევა.

თავის საპასუხო სიტყვაში დელეგაციის წარმომადგენელი ჩილბუგი ამბობს: „საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო რკალი გარღვეულია. ჩვენი აქ ჩამოსვლით იქმნება პროლეტარიატის მთლიანობა, ჩვენ არავის ვასამართლებთ. ჩვენ აქ ჩამოვედით ვამცნოთ ქვეყანას, რომ საბჭოთა კავშირის მიმართ ბურჟუაზიული პრესა უსინდისოდ სტყუის.

## გერმანიის პასუხი საფრანგეთს.

გერმანიამ გაუგზავნა საფრანგეთს საპასუხო ნოტა საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ და მიესალმა ანტანტის მშვიდობიანობის განმტკიცების ზრახვებს გერმანიასთან შეთანხმებით. თუმცა მოკავშირეთა შეხედულება არსებულ პუნქტებში სხვა მიმართულებას აძლევს გერმანიის შეხედულებას.

გერმანია უარყოფს საფრანგეთის ნოტის მითითებას რომ გარანტიების საკითხის გადაჭრა ვერაფერში ვერ შეცვლის მსოფლიო ომის შემდეგ დადებულ ამშვიდობო ხელშეკრულებებს.

პასუხის მეორე ნაწილში გერმანია აკრიტიკებს სამედიატორო სასამართლოს სისტემას რომელიც წამოყენებულია საფრანგეთის ნოტაში. გერმანია წინააღმდეგ აზრს გამოთქვამს აგრეთვე საგარანტიო ხელშეკრულების იმ პროექტზე, რომლის ძალითაც საკითხის გადაჭრა—თუ ვინაა დამნაშავე თავდასხმაში—ეკუთვნის გარანტებს (საგარანტიო ხელშეკრულებაზე ხელის მომწერთ) იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ერთი რომელიმე გარანტი მოკავშირეა ერთ რომელიმე მოჩხუბარ მხარის. ასეთი სახით საგარანტიო სისტემა მიმართული იქნება და გერმანიის წინააღმდეგ.

ხოლო ეს არ ეთანხმება ერთა ლიგის წესდებას.

## ჩილბუგის წერილი.

ლენინგრადიდან წამოსვლის წინ შვეციის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარე ჩილბუგი თავის მიმართვაში ეუბნება ლენინგრადის მუშებს: ჩვენ რომ მოვდიოდით, ბურჟუაზიულმა პრესამ განგაში მორთო, რომ ჩვენ კომუნისტები ვართ, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში შევისწავლოთ როგორ მოვახდინოთ რევოლიუცია შვეციაში; ლაპარაკობდენ აგრეთვე, რომ ჩვენი მგზავრობა უნაყოფოა, ვინაიდან შეზღუდულ, ჩვენთვის საჭირო საშვალებებს მოკლებული ვიქნებით.

ჩვენ უნდა ავღნიშნოთ, რომ ბურჟუაზიულ პრესა სტყუოდა. ჩვენ აქ ამხანაგური შეხვედრა მივიღეთ. საბჭოთა კავშირის მდგომარეობა სამაგალითოა, მუშების პირობები ფრიად სასურველია და სხვა...

## ომი მაროკოში.

**პენლევე იმუქრება.**

მინისტრთა საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ პენლევემ განაცხადა: „სწარმოებს მოლაპარაკება მაროკოში მშვიდობიანობის დამყარების შესახებ და ამავე დროს მიღებულია ზომები ფრონტის გასამაგრებლად და აბდელ-ქერიმზე გადამწყვეტ იერიშის მისატანად“.

## რადიჩი მშრომელთა მოღალატეა.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ სტეფანე რადიჩმა სამხრეთ სლავიის მეფეს მიმართა დეპეშით, რომელშიაც ქებით იხსენიებს „მეფის სიბრძნეს და კეთილშობილებას, რომლის წყალობით სამხრეთ-სლავიის სამეფო მყარდება მშვიდობიანობა და სამართლიანობა“. დეპეშა თავდება შემდეგი სიტყვებით: „ღმერთი იყოს თქვენი უმაღლესობის და თქვენი ოჯახის შემწე“.

რადიჩს ამ დღეებში მიიღებს მეფე, რომელთანაც მას საუბარი ექნება თავისი პარტიის შესახებ. გაუქმებული იქნება ის განსაკუთრებული კანონები, რომლებიც გამოცემული იყო რადიჩის პარტიის წინააღმდეგ.

# მშრომელი ხალხის გამცემლები პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე.

18 ივლისის სხდომის დასასრული.

გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

**მ. ფანჯავიძე.**

ტფილისელი ვაჭარი. ის ამბობს:—ჩემს ბინაზე ცხოვრობდა საზღვარ-გარეთიდან ჩამოსული ნაპოლეონ კახიანი. ის ამბობდა, რომ ამბოხება უნდა მოვაწყოთ მთავრობის დასამხობადო. ისვე მუშაობდა უჯრედების მოწყობის საქმეში წითელ არმიაში. როცა დამიჭირეს, ჩემამ ყველაფერი ის განმიმეორა რასაც კახიანი ამბობდა. მე დავრწმუნდი რომ ყველაფერი ნ. კახიანის მიერ იყო გამოაშკარავებული.

**ლევან ლოლუა.**

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი წევრი. მოწმე ამბობს:—1924 წელში დამიძახეს საიდუმლო ბინაზე. იქ დამხვდენ კალანდარიშვილი, გეგეჭკორი, ხოფერია და კოლუაშვილი გამოსვლების დრო ახლოვდება და მზადუნდა ვიყოთო. სხვა და სხვა მიზეზების გამო ქალაქის სალაროდან ფულის გატაცება ვერ მოვახერხეთ.

**ვლადიმერ დუმბაძე.**

მენშევიკური ცეკას რწმუნებული ბაქოში, სადაც მას უნდა მოეწყო ორგანიზაციები და ტფილისთან დაკავშირება. როგორც მისი ჩვენებიდან ჩანს მას უნდა გაება კავშირი აგრეთვე მუსავატელებთან.

19 ივლისის საღამოს სხდომა.

გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

**ალექსანდრე იასონის ძე მგალობლიშვილი**

ახასიათებს ბრალდებულ მამალაძეს, როგორც მენშევიკური პარტიის ძველ წევრს. 1923 წლის დასაწყისში მამალაძე აჭარისტანში წავიდა. შემდეგ რას აკეთებდა არ ვიცი. არც ის ვიცი, თუ რა მონაწილეობა მიიღო აგვისტოს გამოსვლებში. გავიგე, რომ ხულოში დაუპატიმრებიათ გამოსვლების შემდეგ.

**სეით დევდარიანი.**

მე ვიყავი ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულების პოლიტიკას—ამბობს მოწმე.

ჩვენი მუშაობა იწყება საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების დღიდან საქართველოში.

ამ მუშაობაში რამოდენიმე უმთავრესი მომენტია.

პირველი მომენტია ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხელში გვქონდა ყველაფერი—ძალაუფლება, ჯარი, მაინც დამარცხდა მაშინდელი ხელისუფლება. ცხადია, როცა ეს ძალა არ იყო ჩვენს ხელში, არ შეგვეძლო ფიქრი შეტევაზე გადასვლის შესახებ.

მეორე მომენტი იყო ლენინის თეზისები—საერთო ენა მოინახოს ჟორდანიას მიმდევრებთანო. ჟორდანიასაც ეთქვა, რომ შეთანხმება შეიძლებაო.

მესამე მომენტია ქუთაისის შეთანხმება, სადაც მამია ორახელაშვილმა სთქვა, თუ თქვენ შეიარაღებულ გამოსვლებზე არ იფიქრებთ, მუშაობის საშუალებაც გექნებათ და გაზეთიცო.

მეოთხე მომენტი იყო ეკონომიურ პოლიტიკაში გარდატეხა. როცა ლენინის თეზისები წავიკითხე, მაშინ შეიცვალა ჩემი დამოკიდებულება ამ ხელისუფლებისადმი.

მოწმე აცხადებს, რომ მენშევიკური პარტია თანამშრომლობის გზას ადგა, ის გაურბოდა არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლას და სხვა.

როცა მაისში რეპრესიები დაიწყო, ჩვენ გაუგებრობად გვეჩვენა.

ამ ხანებში მე სოფლად წაველი და ცეკას მოთხოვნით დავბრუნდი 1922 წლის თებერვალში. გავიგე პარტია არალეგალურ მდგომარეობაში გადასულიყო. მე მაშინებდა ის გარემოება, ვინაიდან საზღვარგარედ გასული მთავრობა ითვლებოდა არა როგორც ემიგრანტი არამედ—როგორც მთავრობა. მე განვუცხადე ჩემი შიში ამხანაგებს. მაშინ ფიქრობდენ, რომ ჰააგის კონფერენცია ეტყვის ბოლშევიკებს და ისინიც გაიყვანენ ჯარებსო. მე დავიწყე არალეგალური მუშაობა. ცეკას ხაზი იყო იდეური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

შეიარაღებულ აჯანყებაზე არ ყოფილა ფიქრი. საზღვარ გარეთიდან მიღებულ წერილების მიხედვით, არც ჟორდანია იყო ჩხუბის ხასიათზე. კიდევ მეტიც ცეკა არალეგალური მუშაობის დროს იბრძოდა შეიარაღებულ აჯანყების წინააღმდეგ.

მოხდა გამოსვლა დუშეთში და სხვაგან. პარტიასთან გამოსვლებს კავშირი არ ქონია. გვეგონა გლეხობის უკმაყოფილება მოხდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღების გამო.

ამ ხანებში ჟორდანიაც იწერებოდა—დამალეთ პარტიზანული რაზმებიო. ცეკას არ შეეძლო მათი დამლა, ვინაიდან ისინი არ დაემორჩილებოდენ ცეკას და მათთან კავშირი და მათი მოძებნა ძნელი იყო.

1922 წელს მოხდა მშვიდობიანი დემონსტრაცია. დემონსტრაციის მიზანი იყო დაემტკიცებია ხალხის შეურიგებლობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

ამის მეტი არაფერი ვიცოდი, სანამ „ჩეკაში" არ მოვხვდი. იქ გავიგე, რომ ცეკა სხვა მუშაობასაც აწარმოებდა.

ამას გარდა პარიტეტულ კომიტეტს არ ჰქონია მიზნად დასახული აჯანყების მოწყობა. მისი მიზანი იყო, თუ ვინიცობაა საბჭოთა ხელისუფლება დაეცემოდა საქართველოში, ძალაუფლება ჩაეგდო ხელში.

ხომერიკმა ჩამოსვლისას ხელში ჩაიგდო პარტიული ორგანიზაციები და თვით ეწეოდა მუშაობას.

ხომერიკი არაკოლეგიალური მუშაკი იყო, მაგრამ აჯანყების მომხრე არ ყოფილა. ის კომუნისტურ ხელისუფლებასთან შეთანხმების მომხრეც იყო. მე პირადად არ ვიხსნი პასუხისმგებლობას, მაგრამ ნოე ხომერიკის მუშაობაში მე და ვერც პარტია ვერ იკისრებს პასუხისმგებლობა, რადგან ცეკამ არაფერი იცოდა იმ მასალების შესახებ, რომელიც ჩეკამ ჩაიგდო ხელში მისი დაპატიმრების დროს.

ბრალმდებელ **ოკუჯავას** შეკითხვაზე, ქონდა თუ არა მასზე ძალდატანებას ადგილი საგანგებო კომისიაში—დევდარიანი აცხადებს: არავითარი ძალდატანება არ ყოფილა, სრულიად დამშვიდებული ვაძლევდი ჩვენებას.

**ოკუჯავა:** საიდან მოგდიოდათ ფულები?

დევდარიანი: ხომერიკმა მითხრა—მეორე ინტერნაციონალმა შეაგროვა მუშებში და ამ ფულებში გატანილი ქონების ნაწილიც ურევიაო. მეც ძალიან მაინტერესებდა ეს კითხვა, მაგრამ ეხლაც არ ვიცი. ვიცი, რომ მეორე ინტერნაციონალმა გაიღო სალაროდან ერთგვარი თანხა.

**ოკუჯავა:** აძლევდით თუ არა ფულებს პარიტეტულ კომიტეტს?

დევდარიანი: ფინანსიური ანგარიშის არაფერი ვიცოდი.

**ოკუჯავა:** მეორე ინტერნაციონალი ფულებს პარტიისთვის იძლეოდა, თუ პარიტეტული კომიტეტისთვისაც, რომელშიაც სხვა პარტიებიც შედიოდა?

**დევდარიანი:** საზღვარ გარედ იცნობენ ჟორდანიას, ალბად მას აძლევდენ. მე არ ვიცი, აძლევდენ თუ არა პარიტეტულ კომიტეტს.

# სამხედრო საქმე

## შეჯიბრი სროლაში ოცეულებს შორის.

**1. მსროლელი ოცეულები.**

შეჯიბრზე თვითეული ასეულიდან გაყვანილ იქნება თითო ოცეული, მაგრამ იმათ რიცხვიდან, რომლებსაც გაუვლიათ პრაქტიკული სროლა როგორც შაშხანიდან, ისე ტყვიამფრქვევებიდან. ნაწილის უფროსი თავის შეხედულებით ამოირჩევს ამა თუ იმ ოცეულს, ხოლო შეჯიბრზე გამოდის ეს ოცეული იმ შემადგენლობით, როგორი შემადგენლობაც ირიცხება შეჯიბრის დღეს. შეჯიბრი სწარმოებს იმ იარაღებით, რომლებიც ირიცხება ოცეულზე და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იარაღის გამოცვლა სხვა ოცეულიდან. ეს მეტად საყურადღებო პირობაა. თვითეულ მეომარს უნდა ახსოვდეს, რომ ყველა სროლა—დაწყებითი, პრაქტიკული, საბრძოლო, შეჯიბრის და, ბოლოს, საინსპექტოროს, ე. ი. შემამოწმებელ სროლას, ის გადის თავისი იარაღით.

და თუ მსროლელი არ გაუფრთხილდება, არ მოუვლის თავის თოფსა და ტყვიამფრქვევს, ის ვერას დროს ვერ დაწინაურდება და ვერ დაამტკიცებს იმას, რომ ის ხელოვანია თავის საქმის.

ოცეულების შეჯიბრი მდგომარეობს ტაქტიკურ—სროლის ამოცანის გადაჭრაში, შეჯიბრის დროს თოფზე რიგდება 5 ვაზნა, თოფ-ტყვიამფრქვევზე—50 ვაზნა დაზგის ტყვიამფრქვევზე—100, საბრძოლო ოცეულისთვის ეწყობა არა ნაკლები სამი ჯგუფური სანიშნოებისა, რომლებიც გამოხატავენ მტერს იმ მდგომარეობაში, როგორიც შეეფერება მოცემულ ამოცანას. ეს სამი ჯგუფი თავსდება მაგალ. ასეთ მანძილზე: 400 ფეხის ნაბიჯზე—თავის სანიშნოები, 1000 ფეხის ნაბიჯზე—მკერდის და წელს ზევითა, და, ბოლოს, 1600 ნაბიჯამდე—მთელი სიმაღლის სანიშნოები. ფიგურების რაოდენობა, მათი დაყენება თვითეულ მიზანში, და აგრეთვე კედაროს მთელი მანძილი უნდა შეეფარდებოდეს ამოცანის პირობებს, მაგრამ ისე, რომ ოცეულის ყველა ათეულებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება ამა თუ იმ სანიშნოზე სროლაში.

შეფასება სწარმოებს ისე, როგორც ათეულების შეჯიბრის დროს, ე. ი. ფასდება მეთაურისა და მსროლელების მოქმედება და სროლის მანევრები და ისაზღვრება ყველა ჯგუფურ მიზნების შემუსვრათა რიცხვი.

**2. ტყვიამფრქვევის ოცეულები.**

ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, ტყვიამფრქვევის ოცეულები გადიან შეჯიბრზე პრაქტიკული სროლის კურსის გავლის შემდეგ. შეჯიბრზე ოცეულები გამოდიან იმ შემადგენლობით, როგორი შემადგენლობაცაა შეჯიბრის დღეს; შეჯიბრი სწარმოებს აუცილებლად საკუთარი იარაღითაც. ტყვიამფრქვევზე ეძლევა 300 ვაზნა.

შეჯიბრის ჩატარების წესი ისეთივეა, როგორც მსროლელთა ოცეულისთვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საბრძოლო სანიშნოების ჯგუფები დაყენებულ იქნებიან უფრო შორ დისტანციებზე, მაგ. 1.000 დან 2.500 ნაბიჯამდე. სანიშნოების დაყენება, მათი რიცხვი ჯგუფში, საერთო მანძილი კედაროზე—ყველაფერი ეს უნდა შეეფარდებოდეს ამოცანას.

შეფასება სწარმოებს ისევე, როგორც მსროლელ ოცეულებისათვის. პირველობის უფლების მისაღებად საჭიროა დამაკმაყოფილებლად გადასჭრა ტაქტიკური ამოცანა და შემუსრო ყველა მიზნები.

3.

# არმიის მეოთხე ოლიმპიადა.

**რა არის ოლიმპიადა.**

20 ივლისს გაიხსნა არმიის მეოთხე ოლიმპიადა. რა არის ოლიმპიადა? ეს სიტყვა ბერძნულია, ის წარმოსდგება სიტყვა „ოლიმპი"-დან. ოლიმპი ერთ მთას ჰქვია საბერძნეთში. მთის ძირზე ძველად იმართებოდა სასპორტო შეჯიბრი—სირბილში, ხტომაში, შუბისა და ბადროს ტყორცნაში და სხვა. ასეთ ვარჯიშობას, რომელიც სწარმოებდა ოლიმპის მთის ძირზე ეწოდა ოლიმპიადა. ოლიმპიადაზე თავს იყრიდენ საბერძნეთის ყოველ კუთხიდან: გამარჯვებულს აჯილდოებდენ დაფნის გვირგვინით. ამრიგად ძველი ბერძნები დიდ მნიშვნელობას აძლევდენ ახალგაზრდობის ფიზიკურად აღზრდას. განვითარებული ბერძენი ფიზიკურადაც განვითარებული უნდა ყოფილიყო.

წითელი არმიის ფიზიკურად აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს საბრძოლო საქმის მომზადებაში.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე შეიარაღება მოითხოვს მეომრისაგან არა მარტო სპეციალურ სამხედრო ცოდნათა შესწავლას, არამედ სათანადო ფიზიკურ განვითარებასაც.

ხოლო ფიზიკურ განვითარებას იძლევა გიმნასტიკა და სპორტი, რომელიც აძლიერებს მეომარს, აძლევს სიმარდეს, მხნეობას გამბედაობასა და სხ. დღევანდელ ოლიმპიადის მიზანია ჩვენი არმიის ნაწილების ფიზიკური მომზადების გასინჯვა და შემოწმება.

ამას გარდა ოლიმპიადამ დიდი როლი უნდა ითამაშოს ფიზიკურის პროპაგანდის საქმეში არა მარტო არმიაში, არამედ მუშათა, კომკავშირელ ახალგაზრდობასა და მოწაფეთა შორის.

ამრიგად დღევანდელი ოლიმპიადა დიდად საინტერესოა ჩვენთვის და დიდი სამხედრო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მას.

მეოთხე ოლიმპიადის პირველი შეჯიბრი გაიხსნა ლენინის სახელობის სტადიონზე, დაესწრენ საკავშირო რევსამხსაბჭოს წევრები ბუდიონი, ეგოროვი, არმიისა და სსრკ რევსამხსაბჭოს წევრი ლუკაშინი, არმიის სარდალი კორკი, კ. წ. დ. ა. პოლიტ-სამართველოს უფროსი ამხ. რატნეკი.

# ამხ. ჩიჩერინის დეპეშა შიდეხარას.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიდეხარამ მადლობის წერილი გამოუგზავნა ჩიჩერინს იაპონიის ელჩის ტანაკას გულითადი მიღებისათვის.

ჩიჩერინმა პასუხად გაუგზავნა შიდეხარას დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ის შეხვედრა, რომელიც გაუმართა საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ იაპონიის ელჩს, დამამტკიცებელია საბჭოთა კავშირის ხალხის ღრმა სიმპატიისა და წრფელი მეგობრობისა იაპონიის ხალხისადმი.

# მღელვარება ჰოლანდიის ინდოეთში.

ჰოლანდიის ინდოეთში ჩინეთის მოსახლეობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ მღელვარებას.

ჩინელებს შორის ვრცელდებოდა ფურცლები, რომლის საშუალებითაც მოუწოდებდენ მათ წინააღმდეგობა გაეწიათ პოლიციისა და ხელისუფალთათვის, რომლებსაც კავშირი აქვთ ინგლისთან ჩინეთის მოძრაობის წინააღმდეგ. პოლიციისა და ჩინელებს შორის მოხდა რამოდენიმე შეტაკება. ორივე მხრით არიან დაჭრილები.

# კონფლიქტი კონსერვატიულ პარტიაში.

ინგლისის კონსერვატიულ პარტიაში მწვავე ხასიათი მიიღო კონფლიქტმა საზღვაო მოწყობის საკითხის შესახებ.

# საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მდგომარეობა ივნისში.

სახელმწიფო საგეგმო განყოფილებაში პროფესორ კერკუშინმა მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

გამოირკვა, რომ ივნისის განმავლობაში სახალხო მეურნეობა არამც თუ მხოლოდ დამაგრდა მაღალ დონეზე, გამოიჩინა კიდეც, სეზონის წინააღმდეგ, ახალი და საგრძნობი ზრდა.

# მოსკოვის საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოსდა გერმანიის დელეგაციის შეერთებული სხდომა.

სხდომა გაიხსნა 21 ივლისს. სხდომა გახსნა მოსკოვის საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ მიხაილოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ მოსკოვის მუშები არ დაივიწყებენ გერმანიის დელეგაციის სტუმრობას და რომ ეს მათი მოსვლა დააჩქარებს საერთაშორისო პროფკავშირთა მთლიანობის განხორციელებას.

დელეგატები იძლეოდენ კითხვებს სამუშაო ხელფასის, შრომის დაცვის შესახებ და სხ.

სხდომის შემდეგ დელეგაცია დანაწილდა ჯგუფებად და შეუდგა პროფკავშირთა საბჭოს განყოფილების მუშაობის გაცნობას.

21 ივლისს დელეგაციამ დაათვალიერა რამოდენიმე ფაბრიკა-ქარხანა.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## მუშაობა ჩვენთან.

მე 6 ლეგიონი.

კლუბის გამგეობის ხელმძღვანელობით დაარსდა სკოლის გარეშე პროპაგანდის კურსები.

კურსების მიზანია—მოამზადოს სოფლებისათვის ქოხ-სამკითხველოს გამგეები და კულტურული მუშაკები. კურსებს ყავს ორმოცი მსმენელი.

მეცადინეობა მიმდინარეობს დღეში ორ-ორი საათი, კვირაში სამჯერ.

მეცადინეობა სწარმოებს, როგორც თეორეტიულათ, ისე პრაქტიკულათ. დგება კვირეული ცხრილი, რის მიხედვით ლეგიონის საუკეთესო ძალები ატარებენ მეცადინეობას. კურსებზე არიან როგორც ძირეული შემადგენლობა ისე ტერარმიელებიც.

კურსებზე ყველანი სურვილისამებრ ჩაეწერენ. მსმენელები დიდი ენტუზიაზმით ეკიდებიან მეცადინეობას. კურსებზე მსურველები კიდევ არიან, მაგრამ ჯერჯერობით შეუძლებელია კურსების ორ ჯგუფათ გაყოფა. წითელ არმიელები მოსვენებას არ აძლევენ კლუბის უფროსს: „არა მე ჩამწერე, არა მეო“!

მეცადინეობა დავიწყეთ 14 ივლისს, ჩაატარებენ თუ არა მეცადინეობას გვირიგებენ თემების კონსპექციებს დაბეჭდილებს, რაც ძლიერ გვიადვილებს მეცადინეობას და ყოველგვარი თემის შესწავლას.

კურსების მსმენელების მიერ იქნა დაარსებული ლენკუთხეებთან 25 სხვა და სხვა ბირთვი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კურსების მსმენელები.

ასეთი მუშაობა ძლიერ კარგ შედეგს იძლევა, ვინაიდან პირველათ ჩვენ გვიხსნიან, როგორ უნდა ვიმუშაოთ და შემდეგ კი თითონ ჩვენ პრაქტიკაზე ვანხორციელებთ მას.

მ. გ.

## მე-3-ე ათასეულის მუშაობიდან.

(მე-5-ე ლეგიონი).

ჩვენი ათასეული დღიდან ცვალებად შემადგენლობის შეკრებისა, შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას.

ახალწვეულები ძალიან ენერგიულად ეკიდებიან სამხედრო—პოლიტიკურ საქმის შესწავლას. ათასეულში, თანახმად სამეცადინო ცხრილისა, მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. გარდა სამეცადინო ცხრილში აღნიშნულ მეცადინეობისა ცვალებადელებთან სწარმოებს სხვა და სხვა საწრეო მუშაობა. ჯერ ჯერობით ჩამოყალიბებულია სასპორტო, დრამატიული და პოლიტიკური წრე, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად. წერა კითხვის უცოდინარ წითელ-არმიელებთან მეცადინეობა სწარმოებს.

ათასეულის ასეულების ყაზარმებში საუცხოვოდ არის მოწყობილი ლენინის და სამხედრო კუთხეები, სადაც ყოველ სადამოობით ტარდება გაზეთების ხმამაღალი კითხვა და წაკითხულის გარჩევა ლენინის კუთხის გამგის ხელმძღვანელობით.

სამხკორი ყულისკარელი.

## კომკავშირელი და დისციპლინა.

ჩვენი წითელი არმიის რიგებში კომკავშირის წევრები საკმაო რაოდენობით გვყავს. ცხადია, ხსენებული ამხანაგები მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს დანარჩენ წითელ არმიელთათვის დისციპლინის დაცვის საქმეში. მაგრამ, სამწუხაროდ ხშირად წინააღმდეგს აქვს ადგილი.

მაგალითად: მეორე დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულში ადგილი ქონდა ასეთ შემთხვევას: ათი დღე არ გასულა მას შემდეგ, რაც ცვალებადელები მოვიდნენ ყაზარმაში, რომ პირველად გაიპარენ სახლში 3-4 დღით კომკავშირის წევრები. ჯერ არ გაეცვნიათ ერთმანეთი ახალ მოსულ წ. არმიელებს, რომ კომკავშირის ორმა წ. ვრმა მუშტი-კრივი გამართეს. ძველი კომკავშირის წევრები 2 ამხანაგი იმის მაგივრად, რომ მაგალითი აჩვენონ ახალ მოსულებს, სამსახურის ასრულებას გულ-გრილად ეპყრობიან, და ცემა-ტყეპა აქვთ ერთმანეთში გამართული.

ასეთ მოვლენას ყურადღება მიაქცია ნაწილში არსებულ კ. კ. ჯგუფმა და 11 ივლისს იქონია მსჯელობა ასეთი ამხანაგების შესახებ, რათა მათ შემდეგისთვის ჩირქი არ მოეცხოთ დანარჩენ კ. კ. წევრებისათვის და დასდო სათანადო მსჯავრი: 5 კ. კ. წევრს, წ. არმ. გამოუცხადა სასტიკი განკიცხვა პირადი საქმეში ჩართვით და მეექვსეს კი გამორიცხა კომკავშირის რიგებიდან.

დადებული სასჯელი უფრო მკაცრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯგუფმა მიიღო მხედველობაში ის, რომ ზოგიერთ ამხანაგებზე ეს შეცდომა პირველი შემთხვევა იყო, ზოგი ახალი მოსული იყვნენ, გლეხის შვილები, რომელთაც სწავლა-განათლება და შეგნება ხელს არ უწყობდა, ამიტომ გამოხატა ცოტა ოდენ ლმობიერ სასჯელში. მაგრამ მომავალში ასეთი შემთხვევას ადგილი თუ ექნება, ჯგუფი ამ სასჯელს გაასკეცებს და სრულებით დაუკეტავს კომკავშირის კარებს ასეთ ამხანაგებს.

ჯგუფის დადგენილება გადაეცა კომუჯრედს დასამტკიცებლად.

ტრანსპორტი.

## არც ჩვენც ჩამოვრჩებით სხვა ნაწილებს.

ჩვენ, მეოთხე ტერლეგიონის მეექვსე ასეულის წვევამდელნი დიდის ხალისით შეუდექით სამხედრო საქმის შესწავლას.

იმედი გვაქვს, რომ ამ მოკლე ხანში, ე. ი. სამი თვის განმავლობაში შევისწავლით სამხედრო საქმეს.

ვეცდებით, რომ არ ჩამოვრჩეთ სხვა ნაწილებს უკან ამ დარგში. ასეულში გვაქვს ბიბლიოთეკა, ლენინის კუთხე. სწარმოებს წიგნების ხმა მაღალი კითხვა. მოგვდის შემდეგი გაზეთები: „კომუნისტი“, „ახალი სოფელი“, „მუშა“, „წითელი არმიელი“ და სხვ.

მხოლოდ სახელმძღვანელო წიგნები არ მოგვეპოვება. კარგი იქნება ასეთებს რომ თავის დროზე მოგვაწვდიდენ.

რაც შეეხება ჩვენს ყაზარმას, უნდა ითქვას სიმართლე, რომ ის ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. ყაზარმა მოთავსებულია ქ. №-ს ყოფილ ეკლესიაში, რომლის სახურავიც ძალზე მოძველებულია და ყოველ წვიმის დროს ჩამოდის წყალი. არ გვაქვს საკუთარი საწოლები, არის მხოლოდ გრძელი ნარები, რომელზედაც თავისუფლად ვერ ვწვებით. საჭიროა ყოველივე ზემო ჩამოთვლილ ნაკლის გამოსწორება, ვისგანაც ჯერ არს.

სამხკორი გრიშა ქაფიანიძე.

## დამოუკიდებელი მეკუჭნავე.

1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდის დეფექტებზე რამოდენიმეჯერ იყო წერილები მოთავსებული ჩვენს გაზეთ „წითელ არმიელი“-ს ფურცლებზე. ბევრი ასეთი დეფექტები გამოასწორეს გაზეთის მითითებით; მხოლოდ არაფერი ეშველა მეკუჭნავის გამოსწორებას, მიუხედავათ იმისა, რომ მასზე ხშირად იწერება კედლის გაზეთებშიაც.

გუნდის უფროსიც ხშირად აფრთხილებს მას, მაგრამ მეკუჭნავეზე ამაებს არავითარი გავლენა არ აქვს და ის აკეთებს საქმეს ისე, როგორც მას სურს და არა ისე, როგორც საქმე მოითხოვს.

ხსენებულ მეკუჭნავეს ვერ ნახავს თავის ადგილზე კაცი საჭირო დროს, საცვლების №-ის მოწესრიგების საქმეს არაფერი ეშველა, თავის დროზე ვერ ვიცვლით, დროზე ვერ არეცხიებს საცვლებს და თუ დაარეცხიებს იმდენს, რამდენიც ნახევარს არ ყოფნის. ამოკითხვაზე, ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

ხსენებულმა მეკუჭნავემ არ იცის ამოკითხვა სწარმოებს თუ არა ასეულში.

საჭიროა მეკუჭნავეს მოქმედებას მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

გიგა.

# განაკის ცხოვრება და მუშაობა.

## ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას არმიის ოლიმპიადზე.

(3 მე ლეგიონი.)

№-ში მდგომი 1-ლ დივიზიის ნაწილებს შორის სპორტიული შეჯიბრი დამთავრდა.

ამ შეჯიბრში ზოგნი დამარცხდა და ზოგს კი მოუწყობლობის გამო მონაწილეობა არ მიუღია.

შეჯიბრში ვინც გაიმარჯვებდა—ის უნდა წასულიყო ტფილისში არმიის ოლიმპიადზე. გაიმარჯვა მე-3 ლეგიონმა, რომელიც ყოველი დარგის სპორტში ტფილისში მიიღებს მონაწილეობას.

საამისოთ უკვე დაიწყო მე-3 ლეგიონმა მეცადინეობა. მხოლოდ ხელი შეგვიშალა იმ გარემოებამ, რომ პროგრამა ოლიმპიადის გვიან მოგვივიდა და ჩვენ ხელახლათ შეგვექნა შერჩევა მონაწილეთაგანის.

ოლიმპიადზე მე-3 ლეგიონიდან მონაწილეობას ღებულობენ: 25 წითელი არმიელი, უფშემადგენლობიდან 8 კაცი და პოლიტადმხოზ და უნცროს მეთაურთა შემადგენლობიდან —10 კაცი. მეცადინეობას ამხანაგები დიდის ხალისით ეკიდებიან.

უსურვებთ მე-3 ლეგიონის სპორტიულ შემადგენლობას გამარჯვებას არმიის ოლიმპიადზე.

ს. გეგია.

## ჩვენი მუშაობა სამხედრო საქმეში.

(სამხედრო პოლიტიკური სკოლა.)

საბანაკოთ გასვლის დღიდანვე ჩვენი სკოლა შეუდგა სისტემატიურ მეცადინეობას სამხედრო საქმეში. დავიწყეთ სამწყობრო მეცადინეობით. კურსანტებს დიდი მონდომება ეტყობათ.

ახალ მიღებული კურსანტების ნაწილი სამოქალაქო ორგანიზაციებიდანაა. ეს ნაწილი სრულებით არ იცნობდა სამხედრო საქმეს. ერთმანეთს ეუბნებოდნენ—რა ძნელი ყოფილა სამხედრო სამსახურიო. ჩვენ ვუპასუხებდით. მართალია ჯერ თქვენთვის ვერ არის მოსაწონი სამხედრო საქმე, მაგრამ გავა ორი კვირა და გაიგებთ, გაეცნობით სამხედრო საქმის მნიშვნელობას.

მართლაც ამხანაგები ორი კვირის განმავლობაში შეეჩვივნენ სამწყობრო მეცადინეობას და დღეს სცდილობენ არც ერთ მეცადინეობას არ დააკლდენ, რათა წითელ არმიის ნაწილებიდან გადმოსულ კურსანტებს არ ჩამორჩენ სამწყობრო საქმეში. არის შემთხვევა, როცა საავადმყოფოში ჩაწერილი კურსანტები სანამდის მეცადინეობა არ გათავდება არ მიდის საავადმყოფოში. ასეთმა საქმიანობამ და მოქმედებამ კიდევაც ნაყოფი გამოიღო.

სამოქალაქო ორგანიზაციებიდან მოსული კურსანტები თავისუფლათ აძლევენ განკარგულებას მთელ ასეულს, ეჩვევიან ათეულების საინსტრუქტორო სწავლებას.

იმედია ჩვენი კურსანტები მომავალში უფრო მეტ ენერგიას გამოიჩენენ და საკლასო პოლიტიკურ საგნებთან ერთად სამხედრო საქმესაც კარგათ შეისწავლიან და გაამართლებენ მათზე დამყარებულ იმედებს მეომარ—წითელ-არმიელთა აღზრდის საქმეში.

ქ. გ. ჩიტიაშვილი.

## ხშირად ასეთი წარმოდგენები.

1-ლი ლეგიონის მე-2 ასეული.

18 ივლისს, ბანაკის კლუბში უმწყობრო გუნდის წით. არმიელების მიერ დადგმული იქმნა სამ მოქმედებიანი პიესა „მუშა მგოსანი“. ხსენებულმა წით. არმიელებმა ჩინებულად ჩაატარა წარმოდგენა. შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი და ცეკვა-თამაში, რამაც დიდათ ასიამოვნა წით. არმიელებს.

სასურველია ხშირად ეწყობოდეს ასეთი წარმოდგენები, რაც დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენს განვითარებას.

უსურვებ ამხანაგებს მეტ ენერგიას ამ დარგში მუშაობის გასაძლიერებლად.

ახალწვეული კალისტრატე მინდიაშვილი.

## საბანაკო თავშეყრის კომენდანტის საყურადღებოდ.

1 ქ. მ. დივიზიის ცალკე მესანგრე და საკავშირო ასეულებს აქვთ ბანაკში საერთო სასადილო, რომელიც უფრო წააგავს ოთხ-ფეხა საქონლის ბაგას, ვინემ სასადილოს.

მოახლოვდება თუ არა სადილობის დრო, სასადილოს შენობის ირგვლივ თავს იყრიან ღორები, გოჭები, ბატები და სხ...

პირდაპირ ჭამა შეუძლებელი ხდება.

ხშირად სასადილო მაგიდებზეც თავისუფლად დასეირნობენ ღორები გასვრილი დინგით.

საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს საბანაკო თავშეყრის კომენდანტმა.

სამხკორი ლ. გიორგაძე.

## ამხ. კონსტანტინე ასათიანის ხსოვნას.

მოულოდნელმა შემთხვევამ ჩვენს წითელ მებრძოლ რიგებს მოაშორა ენერგიული მებრძოლი ამხ. ასათიანი.

ამხ. ასათიანი 1923 წლიდან იყო ჩვენ სკოლის რიგებში; ამ მოკლე ხანში მას უნდა დაემთავრებია სკოლა და უნდა დაბრუნებოდა წითელ არმიის რიგებს.

მაგრამ უბედურმა შემთხვევამ არ დააცალა და უდროვოდ მოწყვიტა ის ჩვენს რიგებს.

ამხ. სკოლის რიგებში მიიღო, როგორც სამხედრო, ისე საერთო ცოდნა და განვითარება.

ამხ. ასათიანი 1922 წლიდან ლენინურ ახკომკავშირის წევრია.

მან უკვე დაამტკიცა მუშათა კლასის ერთგულება აგვისტოს გამოსვლების დროს, როდესაც მშრომელი ხალხის მტრებმა, მოინდომეს მუშურ გლეხური ხელისუფლების ჩამოგდება.

და ის, როგორც მშრომელი ახალგაზრდობის წრიდან გამოსული, მედგრად ებრძოდა მუშათა კლასის მტრებს.

მთელი სკოლის კურსანტები, უფ. და პოლიტშემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მისი უეცრივ დაკარგვით.

ჩვენს გულში წარუშლელი დარჩება ძვირფასი ამხანაგის ხსოვნა და ჩვენ მედგარი ბრძოლით მივაღწევთ იმ იდეებს, რომლებსაც ამხ. ასათიანი თავგამოდებით და ერთგულად ემსახურებოდა.

კურსანტი დ. ჭავჭანიძე.

## ჩვენი საქმიანობა.

მე-3 ლეგიონი.

ხსენებული ლეგიონის ცხენოსან მზვერავ გუნდში წარმატებით მიდის მეცადინეობა, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში. მიუხედავათ იმისა, რომ ხსენებული გუნდის წითელ არმიელებს ხშირად ეცვლებოდათ პოლიტხელმძღვანელები, რასაც უთუოდ უნდა შეეფერხებია მეცადინეობა, შედეგი მაინც კარგი არის.

გუნდში არის დაარსებული ახალგაზრდა კომკავშირის ჯგუფი, სადაც ხშირად იმართება კრებები. კრებებს ესწრებიან წითელ არმიელებიც. გუნდში მოვიდა ერთი ახალწვეული ამხ. სვანიძე, რომელიც გულმოდგინეთ მუშაობს.

ამხ. სვანიძემ რამოდენიმე წითელ არმიელებს შეასწავლა წერა-კითხვა ორი თვის განმავლობაში. მადლობას უძღვნით ამხ. სვანიძეს ასეთ ენერგიულ მუშაობისთვის.

წ. არმიელი ინაშვილი.

# პარტიული ცხოვრება.

## ჩვენი პარტ-საქმიანობიდან.

### მეექვსე ტერ-ლეგიონი.

ამ რამოდენიმე დღის წინად მოხდა ჩვენი ტერ-ლეგიონის ბიურო-კოლექტივის მორიგი სხდომა.

წევრების გარდა სხდომას დაესწრო ლეგიონის მთელი პოლიტ-შემადგენლობა.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1). კლუბის გამგის მოხსენება ჩატარებული საკლუბო მუშაობის შესახებ, 2). ბიბლიოთეკის გამგის და 3). უფროს მასწავლებლის მოხსენება თავიანთ მუშაობის შესახებ. 4). განცხადებები და ანკეტების განხილვა პარტიის წევრებად და კანდიდატებად გადარიცხვის შესახებ, და 5). მიმდინარე საკითხები.

საკლუბო მუშაობა ლეგიონში ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად; მხოლოდ მომავლისათვის სხდომამ მიუთითა კლუბის გამგეობას რათა გაცხოველებულ იქნას საწრეო მუშაობა, განსაკუთრებით სამხედრო წრეში.

საბიბლიოთეკო მუშაობის სფეროში დადგენილ იქნა მთავარი ყურადღება მიექცეს მკითხველ წითელ-არმიელთა იდეურად გათვითცნობიერებას.

სასკოლო მუშაობა კი ფრიად დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. მართლაც, უნდა ითქვას, რომ სასკოლო მეცადინეობა ჩვენთან საჭირო სიმაღლეზე სდგას. ისე მონდომებულნი არიან ჩვენი ცვალებადელები, რომ უეჭველია წერა-კითხვის მცოდნე დაუბრუნდებიან თავ-თავიანთ ოჯახებს.

მეოთხე საკითხში განხილული იქნა ოთხი ამხანაგის ავტობიოგრაფიები და ანკეტები, რომელთა შორის ერთი თხოულობდა პარტიაში გადასვლას, ხოლო დანარჩენი კანდიდატად მიღებას, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოკვლევს შემდეგ, დადგენილ იქნა აღიძრას შუამდგომლობა დივიზიის პარტ-კომისიის წინაშე მათი დანიშნულებისამებრ გადასარიცხავად.

პარტკორი ნ. ახათიანი.

## კომუჯრედის კრება.

მე-ნ-ე ლეგიონის ათასეულის კომუჯრედში 17 ივლისს შესდგა ღია კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: მოხსენება მე-XIV პარტკონფერენციის შედეგებზე და უჯრედის თვენახევრიანი სამუშაო გეგმის დამტკიცება.

მე-XIV პარტკონფერენციის შედეგებზე მოხსენება გააკეთა ამხ. კირილე ბურჭულაძემ, რომელიც საერთოდ შეეხო ბურჟუაზიული სახელმწიფოებში კაპიტალიზმის სტაბილიზაციას და მათი მდგომარეობას, აგრეთვე ამხ. მომხსენებელი აღნიშნავს საბჭოთა რესპულიკების შინაური და საგარეო პოლიტიკის მდგომარეობას. საერთოდ მომხსენებლის მოხსენება მეტად შინაარსიანი იყო, რამაც დააკმაყოფილა დამსწრენი.

სათანადო რეზოლიუცია მოხსენების შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი: მოვისმინეთ რა მოხსენება XIV პარტკონფერენციის შედეგებზე მე-3-მე ათასეულის კომუჯრედის ღია კრება აღნიშნავს რომ მე-XIII პარტკონფერენციიდან მე-XIV პარტკონფერენციამდე რუსეთის კომუნისტური პარტიის მიღწევები დიდია, როგორც, მაგალითად, გლეხობის მიდგომის საკითხში და სამეურნეო ფრონტის გაჯანსაღება და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების საქმეში.

უჯრედის ღია კრებას მხედველობიდან არ ეპარება აგრეთვე ბურჟუაზიის სტაბილიზაციის საკითხი, რომელიც მთელი სიგრძე სიგანით დაისვა მე-XIV პარტკონფერენციაზე და აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია დროებითია, რომელსაც რუსეთის კომპარტიის მტკიცე ნებისყოფა შეცვალოს მთელი მსოფლიო პროლეტარიატის სტაბილიზაციით. უჯრედის თვენახევრიანი სამუშაო გეგმა იქმნა დამტკიცებული.

სამხკორი ყულისკარელი.

## კარგი კვება გვაქვს.

მე-5-თე ლეგიონში გაუმჯობესდა სურსათ-სანოვაგის საქმე. ლეგიონში ცხვება კარგი ხარისხის პური, რითაც კმაყოფილნი ვართ წითელ-არმიელები. სადილი და ვახშამი კარგ ხარისხის კეთდება. სრული იმედი გვაქვს, რომ მომავალში უფრო გაუმჯობესდება საქმე ამ მხრივ.

სამხკორი კოლო.

## დაპირებას შესრულება უნდა.

1-ლ ქ. მ. ლეგიონის ფურნეში ვმუშაობთ 13 კაცი, რომლებსაც გვიხდება 65, 70 ფუთი პურის გამოცხობა დღეში.

ორი თვეზე მეტია, რაც დაგვპირდენ საჩუქრის მოცემას, მაგრამ ჯერ ჯერობით არ მიგვიღია. იმედი გვაქვს, რომ დაპირებას შეასრულებენ.

ერთი გარემოება იქცევს ჩვენს ყურადღებას.

ჩვენთან მოვიდა მე-9 ლეგიონის პურის მცხობელი წ.-არმიელი და გაგვაცნო თავის ფურნის მდგომარეობა. როგორც გადმოგვცა ამხანაგმა ისინი საჩუქრის სახით ღებულობენ თურმე თვეში 4 მანეთს და 1 მან. და 20 კაპ. ჯამაგირს, სულ თვეში 5 მან. 20 კაპ.

რაშია საქმე? ნუ თუ ჩვენც ერთი და იმავე სამუშაოს არ ვასრულებთ იმავე დაწესებულებაში? რატომ ჩვენზე არ ვრცელდება ეს კანონი?

ეხლა, თუ შეიძლება, ჩვენც მოგვეცეს ის, რაც სხვა პურის მცხობელ წ.-არმიელებს ეძლევათ.

პურის მცხობელი წ.-არმ. კ. რუსია.

## პასუხათ სამკორ „ქ-ნარს"

14 ივლისის გაზეთ „წ. არმიელი" № 156-ში თქვენ სწერთ ვითომდა მე-3 ლეგიონში არ იყოს დაარსებული „რემედასის" საზოგადოება, არ იყოს ასეულებში უჯრედები და სხვა. ეს არ არის მართალი. ლეგიონში ჩამოყალიბებულია 13 უჯრედი, მას წევრები ყავს 1000. წ. არმიელი და უჯრედების აქტივისტები 40—წ. არმიელებამდის. „რემედასმა" დღიდან თავის არსებობისა მოაგროვა და გადაგზავნა ფულათ 150 მან. აგრეთვე ის ღებულობს სხვა და სხვა შემოწირულებებს, როგორც ფულათ, ისე ნივთებით. ხდება კრებები, ვაწარმოებთ ახალ წვეულებში სჯა-ბაას „რემედასის" მნიშვნელობაზე. არ ვიცი რაში დაგჭირდათ ამხ. „რ-ქნა" არა სწორი ცნობების მიწოდება.

ი. გეგია.

## „წითელი ვარსკვლავი.

მე-2-რე საკავშირო ასეულის ორკვირეული კედლის გაზეთი № 9.

ეტყობა, რომ კედლის გაზეთს კორესპონდენტები ბევრი ყოლია—არის მრავალ-ფეროვანი წერილები; მასალები დალაგებულია სათანადოთ. წერილები მოკლე და შინაარსიანი. კედლის გაზეთი № 9 ყველაზე მეტად შეიცავს ყოფა-ცხოვრების შენიშვნებს, რომელიც ერთნაირ დახმარებას აძლევს ნაწილს მითითებების საშვალებებით გამოასწოროს ესა თუ ის ნაკლი. 80 პროც. წერილებისა ეკუთვნის წ. არმიელებს. წერილებს აწვდის რედკოლეგიას ახალმოსული ცვალებადელებიც.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იუმორისტული განყოფილება; ის შემკულია სათანადო იუმორისტული სურათებით, რომელიც არის მხატვრობა თვით წ. არმიელებისა. წერილები დაწერილია მსხვილი ასოებით და გასაგებათ. გაზეთი საერთოდ შინაარსიანი და ლამაზია.

ტრანსპორტი.

## ამბები სოფლებიდან.

**კოლექტიურათ დამუშავება.**

ტყვიავის გლეხკომის მეთაურობით გლეხებმა კოლექტიურათ დაამუშავეს 64 დღიური ხეხილის ბაღი და 300 დღიური სახნავი მიწა.

**სამხედრო მაგიდები.**

შორაპნის სამაზრო აღმასკომმა დაავალა ყველა სათემო აღმასკომის თავმჯდომარეებს აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება სამხედრო მაგიდებს, მიმდინარე მუშაობაში.

**წერა-კითხვის სწავლება.**

სიღნაღის პოლიტგანათლებამ გადასწყვიტა მაზრის ზოგიერთ სოფლებში დაიწყოს მეცადინეობა წერა-კითხვის არ მცოდნე გლეხებში.

**სკოლის გახსნა.**

შორაპნის აღმასკომის განათლების განყოფილებას განზრახული აქვს სოფ. საბაში გახსნას დაბალი საფეხურის სკოლა.

# ახალი ამბები.

— **სომხის ბაზრის გასაფართოებლათ** ტფილისის აღმასკომმა დაადგინა კომუნ. ბანკიდან აიღოს 250 ათასი მანეთი.

— **კოოპერატიული მუშაობის** გასაცხოველებლათ გადადებული 5 ათასი მანეთი, ტფ. აღმასკომმა გაანაწილა საგარეჯოს, თიონეთის, თელეთის და დილომის კოოპერატივებს შორის.

— **ჯანსახკომმა მიავლინა** ლეჩხუმის, რაჭის და დუშეთის მაზრებში ლექტორები სანიტ-განათლების მუშაობის საწარმოებლათ.

— **ლექსიკონი მესაქონლეობაზე.** გამოვიდა მიწად-მოქ. კომისარიატის მიერ გამოცემული ლექსიკონი მესაქონლეობის შესახებ.

— **ბრძოლა უმუშევრობასთან.** ივლისისათვის შრ. ბირჟაში აღრიცხული იყო 1833 უმუშევარი შავი მუშა. მათ შორის საზოგადო სამუშაოებზე უკვე დაკავებულია 557 მუშა.

— **მევენახეობისათვის.** საქ. სახკომსაბჭომ გადასდო საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურთან ამერიკულ ვაზის სანერგეს მოსაწყობათ 10 ათასი მანეთი.

— **ბოტანიკური ბაღის** შეკეთება-გასაუმჯობესებლათ მიწ-მოქმ. კომისარიატმა გადასდო საჭირო თანხა.

— **თათბირი მესაქონლეობაზე.** დღეს მიწად-მოქ. კომისარიატში შესდგება თათბირი მესაქონლეობის შესახებ.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მეორე ქართულ მსროლელ ლეგიონის პარტ-ბიუროს კოლექტივში შემოტანილია განცხადებები ახალგაზრდა კომკავშირის წევრების მიერ და აგრეთვე უპარტიო ამხანაგების კ. პ. რ. კანდიდატად დასამტკიცებლად. ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს, თუ ვისმეს მოეპოვება უარყოფითი მხარეების ცნობები მათი პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ 2-რე ქართ. მსრ. ლეგიონის პარტ-ბიურო კოლექტივში ერთი კვირის განმავლობაში დღიდან გაზეთში გამოცხადებისა.

1 ანდღულაძე გრიგორი ილიას-ძე. ექიმის თანაშემწე ოზურგეთის მაზ. წით.-არმიელებს: 2 ბაინდუროვი მიხეილ გრიგორის-ძე, ქ. ბათუმ. მცხოვ.: 3 დანელია პავლედიმიტრის-ძე. სენაკის მაზრა 4 ქოქოშვილი დავით რაჟდენის-ძე. გორის მაზ. 5 სალუქვაძე გრიგორი გიორგის-ძე. შორაპნის მაზრა 6 კენჭოშვილი ვლადიმერ საჩინოს-ძე. ოზურ. მაზრა 7 ბუხრაშვილი პლატონ ბესარიონის-ძე. შორაპნის მაზრა. 8 ბაგრამოვი პეტრე ალექსის-ძე. გორის მაზრა. 9 ლაცაბიძე სიმონ მიხეილის-ძე. გორის მაზრა. 10 [illegible]უხიაშვილი დიმიტრი ოსების-ძე. გორის მაზრა. 11 გვარამაძე თედო ნიკოს-ძე. ახალქალ. მაზრა. 12 ბაზლაძე ლევან გრიგორის-ძე. გორის მაზრა. 13 ლომაია ილარიონ იაკობის-ძე. ზუგდიდის მაზრა 1 ჯუსოევი ილია ივანეს-ძე. წ.-არმიელი. ცხინვალის მაზრა. 2 ქოხონელიძე ილია გიორგის-ძე. რაჭის მაზრა. 3 ლომიტაშვილი ივანე ესტატეს-ძე. გორის მაზრა. 4 მანანია სილოვან ზაქარიას-ძე. ქუთაისის მაზ. 5 ბერაია აბრამ ბუდუას-ძე. ზუგდიდის მაზრა. 6. ორაგველიძე ტიტიკო სიმონის-ძე. ასისთავი ოზურგეთის მაზრა. 7. ნიკურაძე ვლადიმერ ილარიონის-ძე მწ. მეთაური ქუთაისის მაზრა. 8. არახამია აქვსენტი ივანეს-ძე. წ.-არმიელი ზუგდიდის მაზრა. 9. დაბუნიძე ლაზარე ჩიტოს-ძე. გორის მაზრა. 10. გურგენაძე გიორგი აბესალომის-ძე. ოზურგეთის მაზრა. 11. ქაკნელიძე სიმონ ალექსის-ძე. ოზურგეთის მაზრა 12. ვადაჭკორია ვასილი მიხეილის-ძე. ოზურგეთის მაზრა. 13. ვასაძე თემრაზ ბესარიონის-ძე. ოზურგეთის მაზრა. 14. გოგიაშვილი დავით გიორგის ძე. ცხინვალის მაზრა. 15. ღამბარაშვილი არუთინ სტეფანეს-ძე გორის მაზრა. 16. ფუხაევ ვასილი დიმიტრის-ძე. ცხინვალის მაზრა. 17. ხომასურიძე მიხეილ სოლომონის-ძე რაჭის მაზრა. 18. შუბლაძე ნოე სიმონის-ძე. სენაკის მაზრა. 19. მარგიევი იასონ მზოლის-ძე. სიღნაღის მაზრა. 20. ბიდაროვ მიხეილ იოსების-ძე. გორის მაზრა. 21. ილურიძე სტეფანე ილიას-ძე. გორის მაზრა. 22. პარასტაევ მიხეილ პეტრეს-ძე. გორის მაზრა. 23. კვაჭაძე ბენია ვლადიმერის-ძე. ოზურგეთის მაზრა. 24. ჩიბიროვ ივანე ანდრონს-ძე. გორის მაზრა. 25. ელბაქიანი იაკობი ბესარიონის-ძე. ახალქალაქის მაზრა. 26. ბექვაია რაჟდენ იოსების-ძე. სენაკის მაზრა. 27. ხარებაშვილი ალექსანდრე ივანეს-ძე. სიღნაღის მაზრა. 28. დილბარიანი არამი კარაპეტის-ძე. ახალციხეში მცხოვ. 29. თურმანიშვილი იაკობ მიხეილის-ძე. ახალციხის მაზრა. 30. თვაური შაქრო ივანეს-ძე. ცხინვალის მაზრა. 31. სიჭინავა ბაგრატ ალექსანდრეს-ძე. ზუგდიდის მაზრა. 32. ჯიჯეიშვილი ელისო კოსტას-ძე. ოზურგეთის მაზრა.

პ. კოლექტივის პ. გ. მდივანი ეძგვერაძე.

ქართულ სამხ. პოლიტ-სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ-პარტიაში წევრებად მიღების შესახებ კომკავშირის წევრებს: 1. ამხ. გრიგორი კობახიძეს, 2. გრიგორ ჩიტაიშვილს. რისთვისაც ქარ. სამხ. პოლ. სკოლის კომ-უჯრედი სთხოვს აცნობოს მას თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო ზემო აღნიშნულ ამხანაგებზე.

კომ-უჯრედის პ. მ. მდივანი ვლად. კიკალაშვილი.

1-ლ ქართულ დივიზიის საარტილერიო ლეგიონის მე-3 ბატარეის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ უპარტიო წითელ არმიელებს:

1) ცინცაძე ამბროსი ნიკოლოზის-ძეს, 2) ლოლომაძე ვლადიმერი სიმონის-ძეს, 3) კაკაურიძე ამბერკი გიორგის-ძეს, 4) ლაცაბიძე გრიგორი ილიას-ძეს, 5) ჩხიკვაძე კონსტანტინე მელიტონის-ძეს და 6) ახ. ლ. კ. კ. წევრს პენკევიჩი ნიკოლოზი ვლადიმერის-ძეს.

გთხოვთ ვისაც აქვთ რაიმე ცნობა ზემო ჩამოთვლილ ამხანაგების უარყოფითი მხარეების შესახებ აცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში 1-ლ ქართულ დივიზიის საარტილერიო ლეგიონის მესამე ბატარეის კომუჯრედის მდივანს.

მესამე ბატარეის კომუჯრედი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ფ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის 1. № 3.